

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

ადგილობრივ საერთო სამაუწყებლო საშუალებათა ამინსტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია არა ერთი ადგილობრივი საერთო სამაუწყებლო საშუალებათა საბიუჯეტო დავალიანებებია არსებობა, რომელთა გადახდაც ფუნქციონირების გაგრძელების თვალსაზრისით რისკის წინაშე დააყენებდა ამ მაუწყებლებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია მოხდეს ადგილობრივ საერთო მაუწყებელთა არსებული საგადასახადო ვალდებულებებისაგან განთავისუფლება, რომელიც მათ წარმოეშვათ 2004 წლის 1 იანვრიდან დან 2010 წლის 1 იანვრის ჩათვლით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდება ადგილობრივი საერთო მაუწყებლებისათვის ვადაგადაცილებული აღიარებული საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა და არადეკლარირებული გადასახადების ამინსტირება, რომლებიც წარმოშობილი იქნა 2004 წლის 1 იანვრიდან დან 2010 წლის 1 იანვრის ჩათვლით. შეწყდება ყოველგვარი ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი წარმოება ყველა შესაბამის ორგანოში და განთავისუფლდნენ სასჯელისაგან ის პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის შეიძლება მსჯავრდებულნი იყვნენ შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების შესრულებლობის გამო. აგრეთვე განთავისუფლდება აღსრულების ვალდებულებისაგან ყველა ის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება გადახდის ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება მოახდენს გარკვეულ გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ
ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის,
რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომელთა მიმართაც
ვრცელდება კანონის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის
გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლების სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის რეკომენდაციებში ასახულ მოთხოვნებს
და არ ეწინააღმდეგება მის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს
წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო
ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ
ხელშეკრულებებთან
კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს
მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით
ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო
ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს
კანონპროექტის შემუშავებაში
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის
(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს პარლამენტის წევრი – ლევან ვეფხვაძე.